



ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№365

2017 წლის 7 აპრილი

ქ.ლაგოდები

**მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საძოვრები) მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსი 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 122-ე მუხლის, აგრეთვე ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის N5 განკარგულებისა და ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 მარტის N6 განკარგულების შესაბამისად

**ვბრძანებ:**

**მუხლი 1.** გაცემულ იქნას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შვიდი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საძოვარები) მიწის ნაკვეთი იჯარის წესით, უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხუთი წლის ვადით:

- 1.1. 5717454 კვ.მ ალპური მთის საძოვარი (ს/კ 54.18.51.023) - საწყისი წლიური საიჯარო ქირა - 15 350 ლარი, საგარანტიო თანხა - 1535 ლარი, ხოლო ბიჯი -1535 ლარი;
- 1.2. 1540775 კვ.მ ალპური მთის საძოვარი (ს/კ 54.18.51.002) - საწყისი წლიური საიჯარო ქირა - 4125 ლარი, საგარანტიო თანხა - 413 ლარი, ხოლო ბიჯი -413 ლარი;
- 1.3. 1705600 კვ.მ ალპური მთის საძოვარი (ს/კ 54.18.51.024) - საწყისი წლიური საიჯარო ქირა - 4600 ლარი, საგარანტიო თანხა - 460 ლარი, ხოლო ბიჯი -460 ლარი;
- 1.4. 774219 კვ.მ ალპური მთის საძოვარი (ს/კ 54.18.51.003) - საწყისი წლიური საიჯარო ქირა - 2050 ლარი, საგარანტიო თანხა - 205 ლარი, ხოლო ბიჯი -205 ლარი;
- 1.5. 345800 კვ.მ გურჯაანის ყოფილი მიწები (ს/კ 54.19.52.003) - საწყისი წლიური საიჯარო ქირა - 1600 ლარი, საგარანტიო თანხა - 160 ლარი, ხოლო ბიჯი -160 ლარი;
- 1.6. 60000 კვ.მ გურჯაანის ყოფილი მიწები (ს/კ 54.19.52.002) - საწყისი წლიური საიჯარო ქირა - 280 ლარი, საგარანტიო თანხა - 30 ლარი, ხოლო ბიჯი -30 ლარი;
- 1.7. 53400 კვ.მ გურჯაანის ყოფილი მიწები (ს/კ 54.19.52.001) - საწყისი წლიური საიჯარო ქირა - 250 ლარი, საგარანტიო თანხა - 25 ლარი, ხოლო ბიჯი - 25 ლარი.

*საფუძველი: ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2017 წლის 28 მარტის N695 მოხსენებითი ბარათი.*

**მუხლი 2.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს „აუქციონატორს“, ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის „ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი



კარლო ჯამბურია